საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 131 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 6^1 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2012, 010240010.10.003.017063) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ჰ^9$“ ქვეპუნქტი:

„$ჰ^9$) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, უფლებადაურეგისტრირებელი ან/და კერძო საკუთრებად დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადებასთან

დაკავშირებული ზღვრული ხარჯების ოდენობის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების, მეთოდოლოგიისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ღონისძიებებს.“.

მუხლი 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ დადგენილების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადებასთან დაკავშირებული ზღვრული ხარჯების ოდენობის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების, მეთოდოლოგიისა და გადახდის წესის დამტკიცება, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**